

საბაჟო სისტემის რეფორმირების ძირითადი მიმართულებები

საბაჟო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. საბაჟო ინფრასტრუქტურა სამართლიანად ითვლება ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან კომპონენტად. საბაჟო სისტემის გამართულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ინტეგრირებულობის ხარისხი, მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება, უცხოური ინვესტიციების შემოღინება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სამეწარმეო აქტივობის ზრდა საქართველოში. სწორედ ამიტომ, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა საბაჟო ინფრასტრუქტურის მოდერნიზების და საბაჟო პროცედურების გამარტივების მიმართულებით.

საბაჟო სისტემის რეფორმირების ქვაკუთხედად იქცა **საბაჟო რისკების მართვის სისტემის დანერგვა**. მისი მისი საშუალებით გამარტივდა საბაჟო პროცედურები და შემცირდა ტვირთების გატარების დრო. აღნიშნული სისტემა ფუნქციონირებს რისკის კრიტერიუმების (დერეფნების ფერების) და შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით. კერძოდ, დამუშავებულია რისკების პროფილები – წინასწარ განსაზღვრული რისკის ინდიკატორების კომბინაცია, რომლის შინაარსი განისაზღვრება მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და კლასიფიცირების საფუძველზე. მისი თანხვედრა დეკლარირებული საქონლის მონაცემებთან იძლევა საბაჟო კონტროლის გამოსაყენებელი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. რისკების პროფილები მტკიცდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და კონფიდენციალურია.

საბაჟო მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემა „ASYCUDA“-ს მეშვეობით დეკლარირებული საქონლის მონაცემების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში სისტემაში რეგისტრირებული კონკრეტული დეკლარაციისათვის განისაზღვრება დერეფანის ფერი, რაც გულისხმობს საბაჟო კონტროლის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას:

– **მწვანე დერეფანი** გულისხმობს საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებით

მაგდა ჯაბუა
შემოსავლების სამსახურის,
გაფორმების დეპარტამენტის
უფროსი ოფიცერი

სას საქონლის გაშვებას დეკლარაციის და თანდართული დოკუმენტების გამერალური შემოწმების და საქონლის დათვალიერების გარეშე;

– **ლურჯი დერეფანი** გულისხმობს საქონლის გაშვებას დეკლარაციისა და თანდართული დოკუმენტების გამერალური შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე, საქონლის გაშვების შემდგომ პერიოდში დოკუმენტების უტყუარობისა და საბაჟო გადასახდელების დარიცხვის სისწორის შემოწმების პირობით;

– **ყვითელი დერეფანი** გულისხმობს დეკლარაციისა და თანდართული დოკუმენტების გამერალურ შემოწმებას საქონლის დათვალიერების გარეშე;

– **წითელი დერეფანი** ნიშნავს საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებისას დეკლარაციისა და თანდართული დოკუმენტების გამერალურ შემოწმებას, აგრეთვე დეკლარირებული საქონლის დათვალიერებას.

საბაჟო რისკების მართვის სისტემის დანერგვის შედეგად ნაცვლად იმისა, რომ ტვირთების სრული 100% ფიზიკურად შემოწმდეს მებაჟეების მიერ, ამჟამად იმპორტის საბაჟო რეჟიმით დეკლარირებული საქონლის მხოლოდ 15% მოწმდება წითელი დერეფნის შესაბამისად, ანუ ფიზიკური დათვალიერების გზით, ხოლო დანარჩენი 85% უმოკლეს ვადაში ექცევა თავისუფალ მიმოქცევაში. შესაბამისად, იმპორტთა უმეტესობისათვის გამარტივდა საბაჟო პროცედურები და შემცირდა დროითი თუ ფინანსური დანაკარგები. ხოლო შემოსავლების სამსახურს გამოუთავისუფლდა ადმინისტრაციული რესურსები, რომელთა კონცენტრირება შესაძლებელი გახდა შედარებით მაღალრიცხოვან მიმართულებებზე.

საბაჟო სისტემის რეფორმირების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა საბაჟო ადმინისტრირების გამარტივება და ინფრასტრუქტურის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობა. გულისხმობს **გაფორმების ეკონომიკური ზონების (გეზ-ი) ორგანიზებას**, რომელთა

უმთავრესი ფუნქციაა ერთი სარკმლის პრინციპით მომსახურება. იმპორტიორების და ექსპორტიორების მიერ აქ განხორციელებული საბაჟო პროცედურები არის საკმაოდ მარტივი, გამჭვირვალე და მაქსიმალურად ავტომატიზებული.

იმპორტიორის სრული ინფორმირება ხდება ერთ ფანჯარასთან, რითაც ის ზოგადად დროსა და ენერგიას. მას აქვე შეუძლია ისარგებლოს ექსპერტისა და ტექნიკური პერსონალის მომსახურებით. გეზ-ი ასრულებს საბაჟო ტერმინალის ფუნქციასაც, ხოლო ტვირთის გაფორმების საფასურის გადახდა შესაძლებელია 5-დღიანი გადავადებით. გეზ-ი ხელსაყრელია იმ მიზეზითაც, რომ აქ გაფორმებულ საბაჟო დეკლარაციას თავად შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები ავსებენ, რის გამოც იმპორტიორი დაზღვეულია შეცდომებისაგან.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ამჟამად შესაძლებელია საქონლის იმპორტ-ექსპორტზე დაწესებული ლიცენზიებისა და ნებართვების მიღება. თუმცა, გადახდელს რჩება უფლება, სურვილის შემთხვევაში ისარგებლოს ლიცენზიის/ნებართვის გაცემაზე ავტორიზებული სხვა სახელმწიფო უწყების მომსახურებით.

კიდევ ერთი პოზიტიური სიახლე, დამახასიათებელი საქართველოს საბაჟო სისტემისათვის, არის **საქონლის წინასწარი დეკლარირება**, ანუ ტვირთის გაფორმება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საქართველოში შემოსვლამდე (საზღვრის გადმოკვეთამდე).

წინასწარი საბაჟო დეკლარირება გულისხმობს კომპანიის მიერ საქონლის საბაჟოზე წარდგენამდე დეკლარირებას და ყველა აუცილებელი საბაჟო ფორმალის გავლას. წინასწარი დეკლარირების პროცედურები ასეთია:

- იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი საბუთების მონაცემებს გეზ-ის მომსახურების ოფიცერი ავსებს და არეგისტრირებს სასაქონლო დეკლარაციას;

- საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ქვეყანაში შემოსვლისას საზღვარზე განისაზღვრება რისკის დერეფანი და მწვანე დერეფნის შემთხვევაში იმპორტიორს შეუძლია, პირდაპირ საზღვრიდან წაიღოს საქონელი საკუთარ საწყობში;

- წინასწარი დეკლარირებისას იმპორტის გადასახდელები გადახდილ უნდა იქნას საქონლის გაშვებიდან 15 დღეში.

ამრიგად, საქონლის წინასწარი დეკლარირების უპირატესობა ბიზნესისათვის იმაში მდგომარეობს, რომ თუ აუცილებელი ფორმალურობები მოგვარდება საქონლის შემოტანამდე, ან საბა-

ჟოზე წარდგენამდე, მაშინ საქონლის საბაჟოზე მოცდენა აღარ მოხდება.

გამარტივდა აგრეთვე საბაჟო პროცედურები **„ოქროს სიის“** წარმომადგენლებისთვის. ოქროს სიაში შეყვანილ პირს ენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებით და იმპორტის გადასახდელების გადახდის განსხვავებული ვადებით. ამასთანავე გაფორმების საგადასახადო ორგანოს ოქროს სიის მონაწილის დეკლარაცია წარედგინება ელექტრონულად, ASYCUDA-ს მეშვეობით, ხოლო დოკუმენტები წარედგინება ასევე ელექტრონულად ან ინახება დეკლარანტთან, რომელიც ვალდებულია, მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საგადასახადო ორგანოს.

„ოქროს სიის“ წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ შემოტანილი ტვირთი საბაჟო საწყობის ნაცვლად, საკუთარ საწყობში განათავსონ და დეკლარაციით განსაზღვრული გადასახადი 30 კალენდარულ დღეში გადაიხადონ. აღსანიშნავია, რომ „ოქროს სიაში“ მონაწილე კომპანიების რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ საქართველოში 2012 წლის დასაწყისში ჩატარდა კვლევა ტვირთის გაფორმების პროცედურების შესახებ. გამოკითხვამ მოიცვა ხუთასზე მეტი რესპოდენტი. გამოკვლევის შედეგად ნათლად გამოიკვეთა რომ საბაჟო სისტემაში დანერგილი სიახლეებით, მ.შ. გეზ-ის მომსახურებით, კმაყოფილების ხარისხი ძალიან მაღალია – მომსახურების ხარისხი გაიზარდა, პროცედურები გამარტივდა, ხოლო გაფორმების დრო შემცირდა, უმეტეს შემთხვევაში შემცირდა გაფორმების ხარჯებიც. ამავე დროს იმპორტ-ექსპორტიორთა ნაწილი თვლის რომ საჭიროა მათი მეტად ინფორმირება და მეტი კომუნიკაცია, რომლის შედეგადაც შეიძლება მიღწეულ იქნეს ხარჯების უფრო მეტად შემცირება და სერვისის შემდგომი გაუმჯობესება.

ამრიგად, ბოლო წლებში საბაჟო კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, განსაკუთრებით საბაჟო ინფრასტრუქტურის განვითარების და საბაჟო პროცედურების გამარტივების მიმართულებით. მთლიანობაში ეს ცვლილებები უნდა შეფასდეს დადებითად. ამ ინიციატივების განხორციელება ემსახურება სამართლიანი, მარტივი და სანდო საგადასახადო სისტემის შეთავაზებას ბიზნესისათვის და საბაჟო პროცედურების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას, რაც სადღეისოდ ასე მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის.

THE BASIC DIRECTION OF CUSTOMARY SYSTEM'S REFORMS

MAGDA JABUA

*The Senior Officer of the Revenue Service,
Customs Clearance Department*

The custom system plays important role in country's economy, that is why important reforms are held to improve custom procedures.

The most important one was to destroy custom risk management system. what means mounting of cargo according to risk criteria and accidental selecting principles.

One more important direction of custom system reform is simplification of customs administration creation of new registration courses, which aims one window principle. One more positive news is cargo declaration in advance. What means that it is available to fill declaration before introducing cargo to custom. Custom procedures were also simplified for representatives of „Golden List”. They have advantage to mount the cargo in their own store house and to pay taxes is 30 days.

The research held by International Financial Corporation in 2012 showed high level of service what is result of these reforms was evaluated positively.